ოქმი:**ო02.37211651**

თარიღი:**14/06/2021**

ოქმი N 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2021 წელი, 11 ივნისი

ქ.ოზურგეთი

13.00-14.00-საათი

თავმჯდომარეობდა: ლ.ბიგვავა, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ბ.დოლიძე, ლ.მგელაძე, დ.ჭაკნელიძე, თ.ტუღუში, ტ.აროშიძე, გ.ჩაგანავა, გ.მდინარაძე, ლ.საჯაია, რ.სკამკოჩაიშვილი, მ.ჩხიკვიშვილი, გ.ჩავლეშვილი, ვლ.ღლონტი, ე.გორდელაძე.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ საცხოვრისებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

მომხს: ლ.ბიგვავა

თანამომხსენებელი: მ.ჭელიძე

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქ.ოზურგეთის კ.მეგრელაძის ქუჩაზე არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მოსახლეობის კოლექტიური განცხადების განხილვის შესახებ.

მომხს: ლ.ბიგვავა

3.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთის ციხისფერდის უბნის მოსახლეობის კოლექტიური განცხადების განხილვის შესახებ.

მომხს: ლ.ბიგვავა

მომხსენებელმა ლ.ბიგვავამ კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ საცხოვრისებში არსებული მდგომარეობის შესახებ, ვრცლად კი მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა მ.ჭელიძემ, სხდომის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ მომხსენებელს სთხოვა ძირითადი ყურადღება გაემახვილებინა ინფრასტრუქტურაზე, კომისიის წევრებმა ინფორმაცია მიიღეს ცხობად და თანამომხსენებელს სთხოვეს, ორთავე საცხოვრისში ჩატარდეს ინვენტარიზაცია და მასალები წარმოდგენილი იქნას კომისიაში.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო კიტა მეგრელაძის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება, აღნიშნა, ადგილზე დათვალიერებისას აღმოჩნდა რომ მოსახლეობა ცხოვრობს მართლაც გაუსაძლის პირობებში, სახლის სარდაფი დატბორილია როგორც კანალიზაციის, ასევე სასმელი წყლის ჩანადენით. კომისიის წევრები შეთანხმდნენ კომისიის დასკვნა და წერილი გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას

რეაგირებისათვის.

განიხილეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთის ციხისფერდის უბნის მოსახლეობის კოლექტიური განცხადება, რომელშიც ისინი ითხოვენ 300 მეტრის სიგრძის რკინა-ბეტონის ცხაურიანი არხის მოწყობას, რომელიც უბნის გზის რეაბილიტაციის პროექტში არაა გათვალისწინებული. საკრებულოს წევრები შეთანხმდნენ, რომ მერიას გადაუგზავნონ კომისიის დასკვნა და მიმართონ წინადადებით მოამზადონ ცალკე პროექტი მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კიტა მეგრელაძის ქუჩისა და სოფელ გურიანთის ციხისფერდის უბნის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადებები რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას(კ.მარაშენიძე).

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ საცხოვრისებში არსებული მდგომარეობის შესახებ შესახებ-ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

ლავრენტი ბიგვავა

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი